



საარჩევნო დღის მონიტორინგის სიახლე - 9:00

აღნიშნული ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი მხარდაჭერით ა.შ.შ. საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია "საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო" და შესაბამისად უცილობლად შესაძლოა არ ასახავდეს ა.შ.შ. საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ა.შ.შ. ხელისუფლების შეხედულებებს.



30.05.2010

ა.შ.შ. განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით პროექტის "2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის სამოქალაქო ინიციატივა - არჩევნების სამართლიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ამომრჩევნთა შესაძლებლობათა გაფართოება" "საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო" ახორციელებს საარჩევნო დღის მონიტორინგს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

ორგანიზაციის მიერ მივლინებული 320 დამკვირვებლიდან 140 დამკვირვებელი აკვირდება საარჩევნო პროცესს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ხოლო 180 დამკვირვებელი ახორციელებს თავიანთ უფლებამოსილებას ქვემო ქართლის რეგიონში. ორგანიზაციის მიერ მოწვეული დამკვირვებლები არიან როგორც ქ. თბილისიდან, ასევე შესაბამისი რეგიონების ქალაქებიდან.

"მრავალეროვანი საქართველო" ახორციელებს არჩევნებზე დაკვირვებას რუსთავის №20; გარდაბნის №21; მარნეულის №22; ბოლნისის №23; დმანისის №24; წალკის №25; ბარჯომის №36; ახალციხის №37; ადიგენის №38; ასპინძის №39; ახალქალაქის №40; და ნინოწმინდის №41 საარჩევნო ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე.

სპეციალურად არჩევნების დღისათვის "მრავალეროვანი საქართველო" მკითხველს მიაწვდის განახლებულ ინფორმაციას ზემოაღნიშნულ საარჩევნო ოლქებში არსებული ვითარების თაობაზე, ასევე ხსენებულ ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე გამოვლენილი დარღვევებისა და გაყალბების ფაქტებზე.

ინფორმაცია განახლდება პერიოდულად, ყოველ რამოდენიმე საათში და მიეწოდება მკითხველს.

8 საათისათვის არსებული ინფორმაციის შესაბამისად ყველა საარჩევნო უბანი გახსნილია ზემოაღნიშნულ ოლქებში. მიუხედავად აღნიშნულისა, გამოვლენილი იქნა საარჩევნო წესების დარღვევის რამოდენიმე ფაქტი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი:

სოფელ კუმურდოს (ახალქალაქის 40 საარჩევნო ოლქი) საარჩევნო უბანი დაგვიანებით გაიხსნა. ბიულეტენების რიცხვი არ შეესაბამებოდა ამომრჩეველთა რაოდენობას და მასზე ნაკლები იყო. "მრავალეროვანი საქართველოს" დამკვირვებლებმა ფაქტის თაობაზე აცნობეს საოლქო საარჩევნო კომისიას და შესაბამისად აღნიშნული შეტანილი იქნა შესაბამის

ოქმში. გარდა აღნიშნულისა, სოფელ კუმურდოს საარჩევნო უბანზე ადგილი ქონდა ოჯახის წევრის სანაცვლოდ ხმის მიცემის მცდელობის ფაქტს.

ბიულეტენების რიცხვი არ შეესაბამებოდა ამომრჩეველთა რაოდენობას და მასზე ნაკლები იყო სოფელ დილისკის საარჩევნო უბანზე. გარდა აღნიშნულისა, ადგილი ქონდა საარჩევნო ურნაში ერთდროულად ორი კონვერტის ჩაგდების ფაქტსაც.

სარეგისტრაციო ჟურნალი არ გახლდათ ნამდვილი (არ შეესაბამებოდა ს.ს.კ. მიერ დამტკიცებულ ეგზემპლარს) ახალქალაქის 2-ე საარჩევნო უბანზე. გარდა აღნიშნულისა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს არ ქონდათ უფლებამოსილების დამადასტურებელი საიდენტიფიკაციო ნიშნები.

სოფელ ხანდოში ადგილობრივი საარჩევნო უბნის კომისიის წევრები არ იყვნენ ინფორმირებულნი, თუ როგორ გამოეყენებინათ საკონტროლო ფურცელი (რომელიც კანონის შესაბამისად თავსდება საარჩევნო ურნაში ხმის მიცემის პროცედურის დაწყებამდე).

სოფელ ვაჩიანში, ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქში ერთ ამომრჩეველს აძლევენ 8 ბიულეტენს და შესაბამისად ერთი ამომრჩეველი 8 ბიულეტენს აგდებს საარჩევნო ურნაში.

სოფელ იხტილის საარჩევნო უბანი უკვე დაიკეტა. დასრულებულია ხმის მიცემის პროცესი.

სოფელ კულიკამის საარჩევნო უბანზე ხმის მიცემა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების წარდგენის გარეშე მიმდინარეობს

ქვემო ქართლის რეგიონი

დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ქვემო ქართლის საარჩევნო უბნები დროულად გახსნეს და 8.00 საათისათვის უბნები მზად იყვნენ კენჭისყრისათვის. რამოდენიმე საარჩევნო უბანში წარმოიქმნა ტექნიკური ხასიათის პრობლემები. მარნეულის რაიონის ერთ-ერთ უბანზე მწყობრიდან გამოვიდა მარკირების ამომცნობი აპარატი, უბანი დაკეტილია აპარატის გამოცვლამდე (მარნეულის რაიონი სოფლები კიზილაჯლო, 22-ე ოლქი, უბანი 49).

თეთრი წყაროს რაიონის ერთ-ერთი უბნის დამკვირვებლებმა შეგვატყობინეს, საკონტროლო ფურცლებთან არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. საკონტროლო ფურცლები, რომლებიც თვითკოპირებადია ორიგინალიდან ორ

ასლად, აისახება მხოლოდ ერთ ასლზე (უბანი 2, ოლქი 26). არსებულ პრობლემაზე დაუყოვნებლივ ეცნობა საოლოქო კომისიას.

გარდა აღნიშნულისა, გარდაბნის რაიონის სოფელ თაზაქენდში, ერთერთ უბანზე (უბანი 25, ოლქი 21) მისული ოპოზიციის წარმომადგენლები (ეროვნული საბჭო) ითხოვდნენ უბნის დახურვას და ამტკიცებდნენ, რომ კომისიის წევრებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ.

ბოლნისის 23-ე ოლქის, 10-ე უბანზე არ დაუშვეს "მრავალეროვანი საქართველოს" დამკვირვებლები და მხოლოდ 2 საათის დაგვანებით მოხდა მათი უბანზე დაშვება.

სოფელ ყარაჯალარის 58-ე საარჩევნო უბანზე ერთიდაიგივე ამომრჩეველმა ორჯერ მისცა ხმა.

47-ე უბანზე, მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქში, კომისიის თამჯდომარე ხანალიევი დაპატიმრებით და ფიზიკური ზეწოლით ემუქრებოდა "ალიანსი საქართველოსათვის" კომისიის წევრს გასანოვ შახინს (ეს უკანასკნელი მოითხოვდა საარჩევნო პროცედურების კანონის შესაბამისად ჩატარებას და ხელს უშლიდა კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ხანალიევს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები განეხორციელებინა).

საფარლოს 7-ე საარჩევნო უბანზე (დმანისის 24-ე საარჩევნო ოლქი) არ არეგისტრირებენ "მრავალეროვანი საქართველოს" დამკვირვებელს ხასრად მამედოვს, მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ არ იციან თუ როგორ ჩაატარონ აღნიშნული პროცედურა.

ნარდევანის 27-ე და ედი-ქილისას 26-ე უბნებზე (წალკის 25-ე საარჩევნო ოლქი) ბიულეტენების რაოდენობა ნაკლებია ამომრჩეველთა რაოდენობაზე.